

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

18.11.2021წელი
12.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.

კომისიის წევრები: ცისანა ურუშაძე, კახა თედორაძე, კახა ბოლქვაძე, ბესიკ კუპრაძე, სპარტაკ კვაჭაძე, რეზო კვაჭაძე, ემზარ თევდორაძე, ვენე კვიციანი, აკაკი იმნაიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლელა ჩახვაძე, ელისო ჭიჭინაძე, ირაკლი მარშანიშვილი, გიორგი გვარჯალაძე, იოსებ ჩხაიძე, ოთარ პატიეშვილი, ამირან ქანთარია.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.

მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: / ზ. წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: / ზ. წულაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: / ზ. წულაძე/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. აღნიშნა, რომ 2022 -2025 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

დასუფთავება და გარემოს დაცვა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

აქვე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ დაზუსტებული არ არის 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალი ამიტომ ამ მხრივ პრიორიტეტების დოკუმენტში მხოლოდ ზოგადადაა წარმოდგენილი. ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალის დაზუსტება ჩემი ინფორმაციით მოხდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 9, წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური

კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები საგადასახადო შემოსავლები: საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13174,5 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 847,7 თასი ლარით (6,9 %-ით). **2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9281,9 ათასი ლარით; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 13,0 %-ით (1070,8 თასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით; ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1000,0 ათას ლარს; 2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 500 ათასი ლარით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია უცხურ საწარმოთა ქონების გადასახადის შემცირებით. 2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 245,0 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 245,0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 45 თ ლარით გაიზარდა (11,3%-ით) . შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: რენტა 110,0 ათასი ლარი; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 50,0 ათასი ლარით. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით (სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით). შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 73,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 13,0 ათასი ლარი; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 50,0 ათასი ლარი; აღნიშნული შემოსავლები 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში. შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2464,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 6,0 %-ით. არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 10,3 ათასი ლარს; ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 13434,8 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1110,3 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით. **პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**

ინფრასტრუქტურის განვითარება - 2026,9 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 337,8 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -85,0 ათასი ლარი;

გარე განათება - 560,0 ათასი ლარი;

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

კეთილმოწყობის ღონისძიებები-143,5 ათასი ლარი;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 780,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1580,9 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1422,9 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 138,0 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 2730,5 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 2700,0 ათასი ლარი;

2021 წელთან შედარებით ცვლილება არ განხორციელებულა;

განათლების ღონისძიებები - 30,5 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2431,5 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1173,5 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება

სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1244,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -14,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდობის ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 915,0 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 170,0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 745,0 ათასი ლარი;

მმართველობა - 3750,0 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 850,0 ათასი ლარი;

მერია - 2300,0 ათასი ლარი;

მათ შორის თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 20,4 ათასი ლარი

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-150,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი - 31,9 ათასი ლარი.

ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრი 280,0 ათ.ლარი

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 10,0 ათ ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 3541,9 ათასი ლარი;

თავდაცვა - 150,0 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა - 358,4 ათასი ლარი;

გარემოს დაცვა - 1560,9 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1688,5 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა - 170,0 ათასი ლარი;

დასვენება, კულტურა და რელიგია-2431,5 ათასი ლარი;

განათლება -2730,5 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა -745,0 ათასი ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ ქირავნობის პროგრამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გაიზარდოს გამოყოფილი თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ გამოთქვა აზრი, რომ ბიუჯეტში შეტანილი იქნას ინფრასტრუქტურული სამუშაოების 5%-იანი თანადაფინანსება. ასევე სარიტუალო მომსახურების პროგრამის დაფინანსებაც გასაზრდელია, ფასების ცვლილებიდან გამომდინარე.

კომისიის წევრების აზრით გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებით, სატენდერო პირობებში უნდა შევიდეს ცვლილებები და შესრულების ვადებთან დაკავშირებით დაწესდეს სტანდარტები რათა აღმოიფხვრას არსებული პრობლემები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკითხის განმხილველ კომისიას მერთან ერთად განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე: 9, წინააღმდეგი: არცერთი.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო **სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ.**


კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 9 წინააღმდეგი: არცერთი.

4. სხვადასხვა.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე:



ზაზა გულადი

IanCxuTis municipalitatis sakrebulo
sivrciT-teritoriuli dagegmarebisa da infrastruqturis komisia

2800 IanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის**

სხდომის დასკვნა N5

ქ.ლანჩხუთი

18.11. 2021 წ.

2021 წლის 18 ნოემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

4. სხვადასხვა.


დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკითხის განხილველ კომისიას მერთან ერთად განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარე:



ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

18.11.2021 წელი
12:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე ზაზა წულაძე	12 სა.	<i>გ. წულაძე</i>
2.	გიორგი გვარჯალაძე	-	ახ ესტუმრე
3.	კახა ბოლქვაძე	12 სა.	<i>კახა ბოლქვაძე</i>
4.	ზესიკ კუბრაძე	12 სა.	<i>ზ. კუბრაძე</i>
5.	ოთარ პატიეშვილი	-	ახ ესტუმრე
6.	სპარტაკ კვაჭაძე	12 სა.	<i>ს. კვაჭაძე</i>
7.	ლელა ჩხეიძე	-	ახ ესტუმრე
8.	ცისანა ურუშაძე	12 სა.	<i>ც. ურუშაძე</i>
9.	რეზო კვაჭაძე	12 სა.	<i>რ. კვაჭაძე</i>
10.	კახა თედორაძე	12 სა.	<i>კ. თედორაძე</i>
11.	იოსებ ჩხაიძე	-	ახ ესტუმრე
12.	ამირან ქსიარია	-	ახ ესტუმრე
13.	აკაკი იმნაიშვილი	14 სა.	<i>აკაკი იმნაიშვილი</i>
14.	ელისო ჭიჭინაძე	-	ახ ესტუმრე
15.	ირაკლი მარშანიშვილი	-	ახ ესტუმრე
16.	ემზარ თედორაძე	-	ახ ესტუმრე
17.	ვერე კვიციანი	12 სა.	<i>ვ. კვიციანი</i>